ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ა/წლის 12 ოქტომბრის №10/18488 წერილის საფუძველზე, დანართის სახით, წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ავთანდილ დავითაძის 2014-2015 წლების მუშაობის ანგარიშს.

დანართი: 5 (ხუთი) ფურცელი და

1 CD-დისკი.

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრი ფრაქცია"ქართული ოცნება-
ეროვნული ფორუმი"-ს თავმჯდომარე
ავთანდილ დავითაძე

5

№10/18488 03.11.15

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ავთანდილ დავითაძის 2014-2015 წლებში გაწეული მუშაობის ანგარიში

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ავთანდილ დავითაძის აქტივობა:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება – ეროვნული ფორუმის" თავმჯდომარე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის წევრი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი.

მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება – ეროვნული ფორუმის" თავმჯდომარემ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია"ქართული ოცნება-ეროვნული ფორუმი"ს თავმჯდომარედ არჩევის დღიდან (2014 წლის 21 ივლისიდან) საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტით:

1) 2014 წლის 14 ივლისიდან 31 დეკემბერის ჩათვლით, ჩემი თავმჯდომარეობით ჩატარებული იქნა 14 სხდომა და მონაწილეობა მივიღე 81 საკითხის განხილვაში.
2) 2015 წლის იანვრის თვიდან დღემდე, ჩემი თავმჯდომარეობით ჩატარებული იქნა 22 სხდომა და მონაწილეობა მივიღე 125 საკითხის განხილვაში.

როგორც ფრაქციის თავმჯდომარემ 2014 წლის 21 ივლისიდან დღემდე ქ. თბილისის საკრებულოში მივიღე 155 მოქალაქე

2014 წელს მივიღე, განვიხილე და რეაგირება (შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებისათვის შუამდგომლობით მიმართვის საფუძველზე), განვახორციელე ფიზიკური და იურიდიული პირების 6 განცხადება/წერილზე.

განხილული 6 განცხადება/წერილიდან:

სოციალურ თემატიკას განეკუთვნებოდა 4 წერილი: დაკმაყოფილდა 1(ერთი) განცხადება/წერილი, ხოლო არ დაკმაყოფილდა 3 (სამი) განცხადება/ წერილი

სხვა პრობლემატურ საკითხებზე განეკუთვნებოდა 2 განცხადება/ წერილი; მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები.

2015 წლიდან დღემდე მივიღე, განვიხილე და რეაგირება (შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებისათვის შუამდგომლობით მიმართვის საფუძველზე), განვახორციელე ფიზიკური და იურიდიული პირების 6 განცხადება/წერილზე.

სოციალურ თემატიკას განეკუთვნებოდა1 განცხადება/წერილი; პასუხი დადებითად გადაწყდა.

მედიკამენტებით დახმარების თაობაზე გაეწია შუამდგოლობა 2 განცხადება/წერილს.დაკმაყოფილდა2 განცხადება/წერილი.

სხვა პრობლემატურ საკითხებზე განეკუთვნებოდა 3 განცხადება/ წერილი; არ დაკმაყოფილდა 3 განცხადება/წერილი.

მე, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, 2015 წლის იანვრიდან დღემდე, საკრებულოს მიერ ჩატარებული 26 სხდომიდან დავესწარი 26 სხდომას.

როგორც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის წევრი:

2014 წლის 25 ივლისიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ჩატარებული 6 სხდომიდან დავესწარი 6 კომისიის სხდომას.

2015 წლიდან დღემდე ჩატარებული 13 სხდომიდან დავესწარი 12 სხდომას.

როგორც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი :

2014 წლის 25 ივლისიდან ჩატარებული 25 სხდომიდან დავესწარი 25 სხდომას და განხილული იქნა 104 საკითხი.

2015 წლის 1 იანვრიდან დღემდე 43 კომისიის სხდომიდან დავესწარი 38 სხდომას და განხილულ იქნა 228 საკითხი.

გარდა ამისა, ფრაქციაში აქტიურ რეჟიმში იქნა განხილული თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგია:

- თბილისის გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრა;
- გარემოსდაცვითი მმართველობისა და ინსტიტუციური მართვის გაძლიერება და მათი შესაბამისობაში მოყვანა თანამედროვე მოთხოვნებთან;
- გარემოსდაცვითი განათლებისა და მეცნიერების ხელშეწყობა;
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოსდაცვითი სტრატეგიის“ პროექტს მხარი დაუჭირა ფრაქციამ და დამტკიცებული იქნა საკრებულოს 2015 წლის 17 სექტემბრის სხდომაზე.

ხაზგასასმელია ის დადებითი ტენდენციები, რაც 2015 წელს ფრაქცია „ქართული ოცნება -ეროვნული ფორუმის“ წევრის, და ასევე გარემოსდაცვის კომისიის თავმჯდომარის შორენა ბუხრაშვილის მიერ ოთხი დიდი პროექტის სახით განხორციელდა. ეს პროექტებია:

- ქ. თბილისში, კრწანისის ქ. №№7-7ა-ს მიმდებარედ არსებული სკვერის და გამწვანებული ტერიტორიის მოწყობის სამუშაოები;
- ქ. თბილისში სანდრო ეულის ქუჩაზე არსებული ხეივნის მოწყობის სამუშაოები;
- წინანდლის შეს. №1-ის მიმდებარედ არსებული სკვერის მოწყობის სამუშაოები;
- ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორპ. №№22-23-ს მიმდებრედ არსებული სკვერის მოწყობის სამუშაოები.

2015 წლიდან დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს ქ. თბილისში, დიდ დიღომში, სოფელ დიღომსა და ვაშლიჯვარში არსებული სპორტული მოედნების სარეაბილიტაციო სამუშაოები. მოსახლეობისათვის მოეწყო სკვერები, მათ შორის:

დიდ დიღომში - 4 სკვერი;

სოფელ დიღომში - 1 სკვერი;

ვაშლიჯვარში - 1 სკვერი;

2014 წელს ფრაქციის წევრის და ქ. თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ზურაბ ნეფარიძის ინიციატივით ისნის რაიონში ჩოლოყაშვილისა და ბ/ხმელნიცკის ქუჩებს ეწოდა ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი და საფუძველი ჩაეყარა ბერი გაბრიელ სალოსის სახელობის ტაძრის მშენებლობას, მე როგორც ფრაქციის თავმჯდომარე აქტიურად ვიყავი ჩართული აღნიშნული თემის იურიდიული საკითხების მოგვარებაში.
ქ.თბილისის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ზურაბ ნეფარიძის ბიუროში 2015 წლის განმავლობაში შემოსულია 1180 განცხადება, აქედან 852 გაეწია შუამდგომლობა. დაფინანსებულია სრულად 68889 ლარი

გამოკვლევა- 7525 ლარი

მედიკამენტები- 11253 ლარი

ერთჯერადი ფინანსური დახმარება- 12731 ლარი
ოპერაცია- 38380 ლარი

ასევე მოგახსენებთ, რომ ფრაქციის წევრის და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს ქ. თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის გივი გოგლიძის ბიუროს 2015 წლიდან დღემდე მიმართა 230 მოქალაქემ.

147-მა მოქალაქემ მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურების დაფინანსებაზე.

დაფინანსდა-139 მოქალაქე.

ერთჯერადი ფინანსური დახმარებით დაკმაყოფილდა სოციალურად დაუცველი 6 მოქალაქე.

ფრაქცია „ქართული ოცნება-
ეროვნული ფორუმი"-ს თავმჯდომარე ავთანდილ დავითაძე